ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს **2021 წლის 22 ივლისის** სხდომის

ოქმი #5

სხდომას ესწრებოდა: სიითი შემადგენლობის 34 წევრიდან - 25.

დღის წესრიგი:

1. ცვლილებები ფაკულტეტის სამაგისტრო ნაშრომის დაცვის წესში
   მომხს: თ. დოლბაია
2. სამაგისტრო პროგრამის - „ციფრული მედია და ინოვაციები“ დამტკიცება
   მომხს: თ. დოლბაია
3. ასოცირებული პროფესორის, ლია წულაძის განცხადების განხილვა
   მომხს: თ. დოლბაია
4. საზოგადოებრივი გეოგრაფიის საბაკალავრო პროგრამაში საბაკალავრო ნაშრომის დაცვის წესის ცვლილების შესახებ
   მომხს: თ. დოლბაია
5. შესავალ დარგობრივ კურსებში უნიფიცირებული სილაბუსების დამტკიცების შესახებ
   მომხს: რ. ჯორბენაძე

მოისმინეს: 1. ფაკულტეტის დეკანმა, თ. დოლბაიამ, დამსწრეთ წარუდგინა ფაკულტეტის სამაგისტრო ნაშრომის დაცვის განახლებული წესი, რომელშიც უფრო დაწვრილებითაა გაწერილი პროცედურები, ნაშრომის ორიგინალობის შემოწმებისა და ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები

აზრი გამოთქვეს: ზ. დავითაშვილმა, ი.კაჭკაჭიშვილმა, გ. გოგსაძემ, თ. მატარაძემ, რ. ჯორბენაძემ და სხვ.

დაადგინეს: შევიდეს ცვლილებები სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამაგისტრო ნაშრომის დაცვის წესში და დასამტკიცებლად გადაეცეს თსუ-ის აკადემიურ საბჭოს.

მოისმინეს: 2. ფაკულტეტის დეკანმა დამსწრეთ კიდევ ერთხელ წარუდგინა დასამტკიცებლად სამაგისტრო პროგრამა „ციფრული მედია და ინოვაციები“, რომელიც ბათუმის უნივერსიტეტთან ერთობლივად შემუშავდა

აზრი გამოთქვეს: მ. წერეთელმა, რ. ჯორბენაძემ, ხ. მაისაშვილმა და სხვ.

დაადგინეს: სამაგისტრო პროგრამა „ციფრული მედია და ინოვაციები“ დასამტკიცებლად გადაეცეს თსუ-ის აკადემიურ საბჭოს

მოისმინეს: 3. სოციოლოგიისა და სოციალური მუშაობის ასოცირებული პროფესორის, ლია წულაძის განცხადება, რომლითაც ის ითხოვს 10 თვიან სამეცნიერო - შემოქმედებით შვებულებას

აზრი გამოთქვეს: ი. კაჭკაჭიშვილმა, გ. გოგსაძემ, ა. ბერძენიშვილმა და სხვ.

დაადგინეს: სოციოლოგიისა და სოციალური მუშაობის ასოცირებულ პროფესორ ლია წულაძეს მიეცეს რეკომენდაცია თსუ-ის რექტორის წინაშე 2021 – 2022 სასწავლო წლის დასაწყისიდან 10 თვიანი სამეცნიერო - შემოქმედებით შვებულების მიცემის შესახებ და დაევალოს მას დაბეჭდოს 1 სტატია მაღალი იმპაქტ ფაქტორის მქონე ჟურნალში და დაწეროს/განაახლოს წიგნები: „კულტურის სოციოლოგია“ და „რაოდენობრივი კვლევის მეთოდები“

მოისმინეს: 4. თ. დოლბაიამ დამსწრეთ გააცნო „საზოგადოებრივი გეოგრაფიის“ საბაკალავრო პროგრამის განმახორციელებელ პროფესორთა გადაწყვეტილება, მიღებული მიმართულების სხდომაზე, რომლითაც ითხოვენ საბაკალავრო ნაშრომის დაცვის წესის შეცვლას, კერძოდ საჯარო დაცვის შემოღებას

აზრი გამოთქვეს: ი. კაჭკაჭიშვილმა, გ. გოგსაძემ, მ. წერეთელმა და სხვ.

დაადგინეს: შევიდეს ცვლილება „საზოგადოებრივი გეოგრაფიის“ საბაკალავრო პროგრამაში და საბაკალავრო ნაშრომის დაცვა გახდეს საჯარო.

მოისმინეს: ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა რ. ჯორბენაძემ დამსწრეთ გააცნო თსუ-ის ხარისხის სამსახურის რეკომენდაცია დარგობრივი შესავალი კურსების უნიფიკაციის შესახებ

აზრი გამოთქვეს: ი. კაჭკაჭიშვილმა, ზ. დავითაშვილმა, მ. მაცაბერიძემ, ა. ბერძენიშვილმა, თ. დოლბაიამ, მ. შამილიშვილმა, მ.წერეთელმა და სხვ.

დაადგინეს: დამტკიცდეს უნიფიცირებული შესავალი კურსების სილაბუსები წარმოდგენილი სახით: სოციოლოგიის შესავალი, პოლიტიკის მეცნიერების შესავალი, ჟურნალისტიკისა და მასკომუნიკაციის შესავალი და სოციალური მუშაობის შესავალი (ოქმს თან ერთვის).

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე: თ. დოლბაია, ასოცირებული პროფესორი

ფაკულტეტის საბჭოს მდივანი: მ. შამილიშვილი, პროფესორი

ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე დამსწრეთა სია

1. თამარ დოლბაია
2. რევაზ ჯორბენაძე
3. თეონა მატარაძე
4. სალომე დუნდუა
5. მალხაზ მაცაბერიძე
6. ზვიად აბაშიძე
7. ზურაბ დავითაშვილი
8. ფიქრია ასანიშვილი
9. გიორგი გოგსაძე
10. ნინო პავლიაშვილი
11. ამირან ბერძენიშვილი
12. იაგო კაჭკაჭიშვილი
13. მარი წერეთელი
14. ნანული ტალახაძე
15. ალექსანდრე კუხიანიძე
16. მანანა შამილიშვილი
17. ხათუნა მაისაშვილი
18. ალექსანდრე გაბაშვილი
19. ცირა თოფურია
20. შოთა ქარქაშაძე
21. კახა კუჭუხიძე
22. თაკო წურწუმია
23. ზაქრო ნაჭყებია
24. მარი წერეთელი
25. ნინო დურგლიშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

სამაგისტრო ნაშრომის დაცვის წესი

1. სამაგისტრო ნაშრომის მიზანი

სამაგისტრო ნაშრომის მიზანია, სწავლის პროცესში მიღებული ცოდნის სისტემატიზაცია, დარგობრივი ცოდნის, კვლევითი, შემოქმედებითი თუ პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამოვლენა. ნაშრომში უნდა აისახოს სწავლების მოცემულ საფეხურზე შეძენილი თეორიული და პრაქტიკული ცოდნა. კერძოდ, სფეროს ღრმა და სისტემური ცოდნა, მათ შორის, ისეთი სპეციფიკური მეთოდების/საკითხების, რომელთა ძირითადი ნაწილიც ასახავს კვლევაზე დაფუძნებულ ახალ ცოდნას ან/და პროფესიულ პრაქტიკას.

სამაგისტრო ნაშრომი წარმოადგენს სტუდენტის მიერ ინდივიდუალურად შესრულებულ სამუშაოს. სტუდენტმა სამაგისტრო ნაშრომში უნდა შეძლოს კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ახალი, ორიგინალური გზების მოძიება, უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით უნდა გამოავლინოს კვლევის დამოუკიდებლად განხორციელების უნარი. ნაშრომში უნდა ჩანდეს, რომ სტუდენტს შეუძლია მონაცემებზე დაყრდნობით ინფორმაციის ინოვაციური სინთეზი და შეფასება; ასევე კომპლექსური ინფორმაციისა და უახლესი კვლევების კრიტიკული ანალიზის საფუძველზე დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება.

2. სამაგისტრო ნაშრომის თემის შერჩევა

მაგისტრანტი მეოთხე/დამამთავრებელ სემესტრში, აკადემიური რეგისტრაციით დადგენილ ვადაში, LMS.TSU.GE-ს (https://lms.tsu.ge/) ელექტრონულ სასწავლო პლატფორმაზე რეგისტრირდება სასწავლო კურსზე: "სამაგისტრო ნაშრომი". სასწავლო სემესტრის დაწყებიდან 14 კალენდარული დღის ვადაში მაგისტრანტი სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)თან ათანხმებს სამაგისტრო ნაშრომის სავარაუდო სათაურსა და ნაშრომის ხელმძღვანელ(ებ)ის ვინაობას. სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი შეთანხმებულ ვერსიას გადასცემს სასწავლო პროცესის მართვის სამსახურს. ინფორმაცია მაგისტრანტთა სავარაუდო სათაურებისა და ხელმძღვანელ(ებ)ის შესახებ იტვირთება ფაკულტეტის ვებ-გვერდზე.

3. სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელ(ებ)ი

მაგისტრანტს შეიძლება ჰყავდეს ერთზე მეტი ხელმძღვანელი. სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი ან/და კონკრეტული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მოწვეული პედაგოგი. ერთ სასწავლო სემესტრში აკადემიურ პერსონალს/მოწვეულ პედაგოგს შეუძლია არაუმეტეს 5 მაგისტრანტის ხელმძღვანელობა. სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელმა კონსულტაცია უნდა გაუწიოს მაგისტრანტს საკვლევი თემის განსაზღვრასა და შერჩევაში, კვლევის დიზაინის ჩამოყალიბებაში, კვლევითი აქტივობის დაგეგმვაში, ნაშრომის სტრუქტურულ, სტილისტურ და აკადემიურ გაფორმებაში.

4. სამაგისტრო ნაშრომის შესრულების ენა

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე (გარდა იმ შემთხვევისა, როცა სწავლება მიმდინარეობს უცხო ენაზე). უცხოენოვანი სამაგისტრო პროგრამის სტუდენტები ნაშრომს წარმოადგენენ იმ ენაზე, რაზეც მიმდინარეობს სწავლება.

5. სამაგისტრო ნაშრომის სტრუქტურა

სამაგისტრო ნაშრომი შედგება შემდეგი კომპონენტებისაგან (იხ. დანართ #2):

- ✓ თავფურცელი (სატიტულო ფურცელი);
- ✓ ანოტაცია (ქართულ და უცხო ენებზე თემის სათაურის მითითებით);
- ✓ სარჩევი (შინაარსი);
- ✓ შესავალი;
- ✓ ტექსტის ძირითადი ნაწილი;
- ✓ დასკვნა;
- ✓ გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა;
- ✓ დანართები (არსებობის შემთხვევაში).

სამაგისტრო ნაშრომს დანართის სახით უნდა ახლდეს სატიტულო ფურცლის ინგლისური თარგმანი.

6. სამაგისტრო ნაშრომის წინასწარი დაცვისა და დაცვის კომისია

სამაგისტრო ნაშრომის წინასწარი დაცვისა და დაცვის კომისია მტკიცდება ფაკულტეტის დეკანის ბრძანებით. კომისია შედგება არანაკლებ 5 წევრისაგან. კომისიის წევრი შეიძლება იყოს შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალი. სამაგისტრო ნაშრომის დაცვის კომისიის წევრი არ მონაწილეობს მისი ხელმძღვანელობის ქვეშ მყოფი მაგისტრანტის შეფასებაში.

7. სამაგისტრო ნაშრომის წინასწარი დაცვა

სამაგისტრო ნაშრომის წინასწარი დაცვის გრაფიკი მტკიცდება ფაკულტეტის დეკანის ბრძანებით. წინასწარი დაცვა ინიშნება საჯარო დაცვის თარიღამდე, სულ მცირე, 45 კალენდარული დღით ადრე და ყველა სამაგისტრო პროგრამისთვის ტარდება 6 სამუშაო დღის განმავლობაში. წინასწარ დაცვაზე კომისია იღებს გადაწყვეტილებას მაგისტრანტის დაცვაზე დაშვება/არდაშვების შესახებ. წინასწარი დაცვის სხდომაზე განისაზღვრება სამაგისტრო ნაშრომის რეცენზენტი, რომელიც შეიძლება იყოს ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი ან/და მოწვეული პედაგოგი.

წინასწარი დაცვის სხდომის ოქმი ეგზავნება სასწავლო პროცესის მართვის სამსახურს 1 სამუშაო დღის ვადაში.

8. სამაგისტრო ნაშრომის წარდგენა

სამაგისტრო ნაშრომის ელექტრონული და ბეჭდური ფორმით წარდგენა ხდება საჯარო დაცვამდე 14 დღით ადრე. ნაშრომის წარდგენის ვადების დარღვევის შემთხვევაში, სტუდენტი დაცვაზე არ დაიშვება.

სამაგისტრო ნაშრომი მოწმდება ელექტრონული პროგრამა „Turnitin"-ის გამოყენებით. სამაგისტრო ნაშრომის დაცვამდე მაგისტრანტი დასრულებული ნაშრომის ელექტრონულ ვერსიას, ნაშრომის ორიგინალურობის შესამოწმებლად, ტვირთავს სპეციალურ ბმულზე, რომელიც მიბმულია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ელექტრონული სწავლების პორტალზე https://e-learning.tsu.ge/ . ნაშრომს ამოწმებს სასწავლო პროცესის მართვის სამსახური, რომელიც ხელმძღვანელობს "სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური კეთილსინდისიერების პოლიტიკის დოკუმენტით" (https://tsu.ge/assets/media/files/71/academic/372020_d1.pdf). სამსახური, დაცვამდე 9 კალენდარული დღით ადრე ნაშრომების ელექტრონულ ვერსიას უგზავნის რეცენზენტს და კომისიას. ნაშრომის ორიგინალობის კუთხით ხარვეზების გამოვლენის შემთხვევაში სასწავლო პროცესის მართვის სამსახური წერილობით აცნობებს დაცვის კომისიას შესაბამისი რეაგირების მიზნით.

ნაშრომში აკადემიური არაკეთილსინდისიერების გამოვლენის შემთხვევაში კომისიის წევრები უფლებამოსილნი არიან მიიღონ შემდეგი გადაწყვეტილება:

ა) მაგისტრანტი დაშვებულ იქნეს დაცვაზე და ხარვეზები აისახოს სამაგისტრო ნაშრომის შეფასებაში;

ბ) მაგისტრანტი არ იქნეს დაშვებული დაცვაზე;

გ) მაგისტრანტის საკითხი განიხილოს ეთიკის კომისიამ.

სამაგისტრო ნაშრომის წარდგენიდან 5 კალენდარული დღის ვადაში მაგისტრანტის ხელმძღვანელმა სასწავლო პროცესის მართვის სამსახურს უნდა გაუგზავნოს წერილობითი თანხმობა მაგისტრანტის დაცვაზე დაშვების თაობაზე, წინააღმდეგ შემთხვევაში მაგისტრანტის ნაშრომი რეცენზენტთან არ გაიგზავნება. რეცენზენტი, დაცვამდე 4 კალენდარული დღით ადრე,უგზავნის სამსახურს დადგენილი კრიტერიუმების მიხედვით შესრულებულ რეცენზიას.

საჯარო დაცვამდე 2 კალენდარული დღით ადრე კომისიის თავმჯდომარე/მდივანი მაგისტრანტს უგზავნის რეცენზიას.

მაგისტრანტი დაცვაზე დაიშვება რეცენზენტის დადებითი შეფასების შემთხვევაში.

9. სამაგისტრო ნაშრომის საჯარო დაცვა

სამაგისტრო ნაშრომის დაცვა ტარდება საჯაროდ, ყველა სამაგისტრო პროგრამისთვის 6 სამუშაო დღის განმავლობაში, სასწავლო პროცესის ვადების დასრულებამდე არაუგვიანეს 7 კალენდარული დღით ადრე.

საჯარო დაცვის პროცედურა მოიცავს: მაგისტრანტის მოხსენებას (მინიმუმ 15 წუთი), რეცენზიის საჯარო წაკითხვასა და დისკუსიას.

სამაგისტრო ნაშრომი ფასდება 100 ქულიანი სისტემით (იხილეთ შეფასების კრიტერიუმები). სამაგისტრო ნაშრომის 40 % ფასდება რეცენზენტის (მინიმალური კომპეტენციის ზღვარი 21 %), ხოლო 60 % დაცვის კომისიის მიერ (მინიმალური კომპეტენციის ზღვარი 30%). სამაგისტრო

ნაშრომი დაცულად ჩაითვლება და მაგისტრანტს შესაბამისი კრედიტი/ხარისხი მიენიჭება წინასწარ დადგენილი ჯამური მინიმალური ზღვარის გადალახვის შემთხვევაში (არანაკლებ 51 %).

სამაგისტრო ნაშრომის არადამაკმაყოფილებლად (F/FX) შეფასების შემთხვევაში, მისი დაცვაზე წარდგენა იმავე სემესტრში დაუშვებელია. კომისიის გადაწყვეტილება საბოლოოა.

დაცვიდან 1 სამუშაო დღეში სამაგისტრო ნაშრომის დაცვის ოქმი წარედგინება ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურს, მაგისტრანტის სასწავლო ბარათში შეფასების ქულის შესატანად. სამაგისტრო ნაშრომი და რეცენზია ინახება განსაზღვრული ვადით.

დანართი №1

სამაგისტრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები:

რეცენზენტის შეფასება	**მაქსიმუმ 40 ქულა** *(მაგისტრანტი დაცვაზე დაიშვება თუკი რეცენზენტი მის ნაშრომს შეაფასებს მინიმუმ 21 ქულით)*
ა) აქტუალობა (ფასდება თემის აქტუალობა და სიახლე)	**მაქსიმუმ 5 ქულა** ✓ *კომპონენტი/მახასიათებელი არ პასუხობს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს - 0%* ✓ *კომპონენტში/მახასიათებელში დაშვებულია მნიშვნელოვანი შეცდომები – 1-25%* ✓ *კომპონენტებში/მახასიათებელში დაშვებულია მცირე შეცდომები – 26-50 %* ✓ *მახასიათებელში/კომპონენტში დაშვებულია არაარსებითი შეცდომები – 51-75 %* ✓ *მახასიათებელი/კომპონენტი შესრულებულია სრულყოფილად – 76-100 %*
ბ) კვლევის მეთოდოლოგია (ფასდება მიზნებისა და ამოცანების ადეკვატურობა, საკვლევი კითხვის/ჰიპოთეზის გამართულობა, დამოკიდებულ და დამოუკიდებელ ცვლადებს შორის მიმართებების დადგენის	**მაქსიმუმ 10 ქულა** ✓ *კომპონენტი/მახასიათებელი არ პასუხობს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს - 0%* ✓ *კომპონენტში/მახასიათებელში დაშვებულია მნიშვნელოვანი შეცდომები – 1-*

სისწორე (საჭიროების შემთხვევაში), გამართული და კვლევის მიზანთან მისადაგებული კვლევის დიზაინი, ემპირიული მონაცემების ანალიზის სრულყოფილად წარმოდგენა)	*25%* ✓ *კომპონენტებში/მახასიათებელში დაშვებულია მცირე შეცდომები – 26-50 %* ✓ *მახასიათებელში/კომპონენტში დაშვებულია არაარსებითი შეცდომები – 51-75 %* ✓ *მახასიათებელი/კომპონენტი შესრულებულია სრულყოფილად – 76-100 %*
გ) ლიტერატურის მიმოხილვა და თეორიული კომპონენტი (ფასდება რელევანტური, თანამედროვე და მდიდარი ლიტერატურის, მათ შორის უცხოურენოვანი წყაროების, დამუშავების სრულყოფილება, თეორიული მასალის ცოდნა, მისი წვლილი საკითხის შესწავლაში პრაქტიკული ან თეორიული თვალსაზრისით)	**მაქსიმუმ 10 ქულა** ✓ *კომპონენტი/მახასიათებელი არ პასუხობს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს - 0%* ✓ *კომპონენტში/მახასიათებელში დაშვებულია მნიშვნელოვანი შეცდომები – 1-25%* ✓ *კომპონენტებში/მახასიათებელში დაშვებულია მცირე შეცდომები – 26-50 %* ✓ *მახასიათებელში/კომპონენტში დაშვებულია არაარსებითი შეცდომები – 51-75 %* ✓ *მახასიათებელი/კომპონენტი შესრულებულია სრულყოფილად – 76-100 %*
დ) ანალიზისა და არგუმენტაციის უნარი (ფასდება ავტორის მსჯელობის თანმიმდევრულობა, მიზეზ- შედეგობრივი კავშირების დადგენისა და ადეკვატური დასკვნების გამოტანის უნარი, დასკვნების ლოგიკურობა, მათი გამომდინარეობა ძირითადი ტექსტიდან)	**მაქსიმუმ 10 ქულა** ✓ *კომპონენტი/მახასიათებელი არ პასუხობს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს - 0%* ✓ *კომპონენტში/მახასიათებელში დაშვებულია მნიშვნელოვანი შეცდომები – 1-25%* ✓ *კომპონენტებში/მახასიათებელში დაშვებულია მცირე შეცდომები – 26-50 %* ✓ *მახასიათებელში/კომპონენტში დაშვებულია არაარსებითი შეცდომები – 51-75 %* ✓ *მახასიათებელი/კომპონენტი შესრულებულია სრულყოფილად – 76-100 %*
ე) ნაშრომის ფორმალური და ენობრივ-სტილისტური მხარე	**მაქსიმუმ 5 ქულა** ✓ *კომპონენტი/მახასიათებელი არ პასუხობს*

(ფასდება წარმოდგენილი მასალის კორექტურული და სტილისტური სისწორე, წყაროების მითითების სისრულე და კორექტულობა, რუკების, ცხრილების, გრაფიკების შესაბამისობა და შესრულების ხარისხი, ნაშრომის გაფორმება, სტანდარტებთან შესაბამისობა, APA/ტურაბიანის სტილის დაცვა)	*საკვალიფიკაციო მოთხოვნებს - 0%* ✓ *კომპონენტში/მახასიათებელში დაშვებულია მნიშვნელოვანი შეცდომები – 1-25%* ✓ *კომპონენტებში/მახასიათებელში დაშვებულია მცირე შეცდომები – 26-50 %* ✓ *მახასიათებელში/კომპონენტში დაშვებულია არაარსებითი შეცდომები – 51-75 %* ✓ *მახასიათებელი/კომპონენტი შესრულებულია სრულყოფილად – 76-100 %*

კომისიის შეფასება	**მაქსიმუმ 60 ქულა** *(მინიმალური კომპეტენციის ზღვარი 30 ქულა)*
ა) კვლევის სამეცნიერო ხარისხი (ფასდება კვლევის საკითხის/პრობლემის აქტუალობის დასაბუთება, აღნიშნულ საკითხზე ახალი ცოდნის შექმნის საჭიროება, ნათლად ჩამოყალიბებული კვლევის მიზანი, ამოცანები, კვლევის კითხვა და/ან ჰიპოთეზა, კვლევის მეთოდების შესაბამისობა კვლევის მიზანთან, მიღებული შედეგების თანმიმდევრული და კომპლექსური ანალიზი და ინტერპრეტაცია)	**მაქსიმუმ 20 ქულა** ✓ *კომპონენტი/მახასიათებელი არ პასუხობს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს - 0%* ✓ *კომპონენტში/მახასიათებელში დაშვებულია მნიშვნელოვანი შეცდომები – 1-25%* ✓ *კომპონენტებში/მახასიათებელში დაშვებულია მცირე შეცდომები – 26-50 %* ✓ *მახასიათებელში/კომპონენტში დაშვებულია არაარსებითი შეცდომები – 51-75 %* *მახასიათებელი/კომპონენტი შესრულებულია სრულყოფილად – 76-100 %*
ბ) არგუმენტირების და დასკვნის უნარი (ფასდება ავტორის მსჯელობის თანმიმდევრულობა, მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დადგენის უნარი, დასკვნების გამოტანის უნარი, დასკვნების სისწორე დალოგიკურობა, მათი გამომდინარეობა ძირითადი მსჯელობიდან)	**მაქსიმუმ 20 ქულა** ✓ *კომპონენტი/მახასიათებელი არ პასუხობს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს - 0%* ✓ *კომპონენტში/მახასიათებელში დაშვებულია მნიშვნელოვანი შეცდომები – 1-25%* ✓ *კომპონენტებში/მახასიათებელში*

	დაშვებულია მცირე შეცდომები – 26-50 % ✓ *მახასიათებელში/კომპონენტში დაშვებულია არაარსებითი შეცდომები – 51-75 %* *მახასიათებელი/კომპონენტი შესრულებულია სრულყოფილად – 76-100 %*
გ) ნაშრომის ფორმალური და ენობრივ-სტილისტური მხარე (ფასდება წარმოდგენილი მასალის კორექტურული და სტილისტური სისწორე, წყაროების მითითების სისრულე და კორექტულობა, რუკების, ცხრილების, გრაფიკების შესაბამისობა და შესრულების ხარისხი, ნაშრომის გაფორმება, სტანდარტებთან შესაბამისობა, APA/ტურაბიანის სტილის დაცვა)	**მაქსიმუმ 5 ქულა** ✓ *კომპონენტი/მახასიათებელი არ პასუხობს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს - 0%* ✓ *კომპონენტში/მახასიათებელში დაშვებულია მნიშვნელოვანი შეცდომები – 1-25%* ✓ *კომპონენტებში/მახასიათებელში დაშვებულია მცირე შეცდომები – 26-50 %* ✓ *მახასიათებელში/კომპონენტში დაშვებულია არაარსებითი შეცდომები – 51-75 %* *მახასიათებელი/კომპონენტი შესრულებულია სრულყოფილად – 76-100 %*
დ) ნაშრომის ვიზუალური მხარე და მომხსენებლის საპრეზენტაციო უნარი (ფასდება ნაშრომის შინაარსისა და შედეგების წარმოდგენის ვიზუალური (ტექნიკური და ესთეტიკური) მხარე, თვალსაჩინო მასალის არსებობა, მისი ადეკვატურობა და ხარისხი; წახალისდება პრეზენტაციის თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება, მაგ: PowerPoint, დიგიტალური რუკები, ცხრილები, გრაფიკები)	**მაქსიმუმ 5 ქულა** ✓ *კომპონენტი/მახასიათებელი არ პასუხობს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს - 0%* ✓ *კომპონენტში/მახასიათებელში დაშვებულია მნიშვნელოვანი შეცდომები – 1-25%* ✓ *კომპონენტებში/მახასიათებელში დაშვებულია მცირე შეცდომები – 26-50 %* ✓ *მახასიათებელში/კომპონენტში დაშვებულია არაარსებითი შეცდომები – 51-75 %* *მახასიათებელი/კომპონენტი შესრულებულია სრულყოფილად – 76-100 %*
ე) კომუნიკაციის უნარი (ფასდება მაგისტრანტის პასუხები აუდიტორიის კითხვებზე და შენიშვნებზე, მათ შორის	**მაქსიმუმ 10 ქულა** ✓ *კომპონენტი/მახასიათებელი არ პასუხობს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს - 0%*

რეცენზენტის შენიშვნებსა და რეკომენდაციებზე)	✓ *კომპონენტში/მახასიათებელში დაშვებულია მნიშვნელოვანი შეცდომები – 1-25%* ✓ *კომპონენტებში/მახასიათებელში დაშვებულია მცირე შეცდომები – 26-50 %* ✓ *მახასიათებელში/კომპონენტში დაშვებულია არაარსებითი შეცდომები – 51-75 %* *მახასიათებელი/კომპონენტი შესრულებულია სრულყოფილად – 76-100 %*

დანართი № 2

სამაგისტრო ნაშრომის გაფორმება

სამაგისტრო ნაშრომის სტრუქტურა

სამაგისტრო ნაშრომი შედგება შემდეგი კომპონენტებისაგან:

1. თავფურცელი (სატიტული ფურცელი);
2. ანოტაცია (ქართულ და ინგლისურ ენებზე
თემის სათაურის მითითებით);
3. სარჩევი (შინაარსი);
4. შესავალი;
5. ტექსტის ძირითადი ნაწილი;
6. დასკვნა;
7. გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა;
8. დანართები (არსებობის შემთხვევაში).
9. სამაგისტრო ნაშრომს დანართის სახით უნდა ახლდეს სატიტულო ფურცლის ინგლისური თარგმანი.

თავფურცელი (სატიტულო ფურცელი) –

ივსება მკაცრად განსაზღვრული წესის მიხედვით:

✓ ფურცლის თავში უნდა მიეთითოს უმაღლესი სასწავლო დაწესებულების სრული

დასახელება, სადაც შესრულდა სამაგისტრო ნაშრომი (შრიფტისზომა 18)

- ✓ უმაღლესი სასწავლო დაწესებულების დასახელების ქვევით, 2-3 სმ-ის დაშორებით იწერება მაგისტრანტის სახელი და გვარი (სახელობით ბრუნვაში, შრიფტის ზომა 16);
- ✓ შუა ნაწილში იწერება სამაგისტრო ნაშრომის სახელწოდება (შრიფტის ზომა 16) (მას არ მიეწერება სიტყვა "თემა" და ბრჭყალებში ჩასმას არ საჭიროებს);
- ✓ სათაურის შემდეგ იწერება სამაგისტრო პროგრამის დასახელება (შრიფტის ზომა 14);
- ✓ სამაგისტრო პროგრამის სახელწოდების ქვემოთ იწერება მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი (შრიფტის ზომა 14) (მაგ: სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია სოციოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად);
- ✓ თავფურცლის მარჯვენა ქვედა მხარესთან მიეთითება სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის სახელი, გვარი, სამეცნიერო ხარისხი, წოდება, აკადემიური თანამდებობა;
- ✓ სულ ქვემოთ შუა ნაწილში იწერება სამაგისტრო ნაშრომის შესრულების ადგილი/ქალაქი და წელი ციფრებით.

ანოტაცია - აისახება თემის აქტუალობა, მიზნები, ამოცანები, კვლევის საგანი, ობიექტი, ძირითადი შედეგები, სიახლე; მოცულობა 300 სიტყვა; უნდა დაიწეროს როგორც ქართულ ასევე ინგლისურ ენაზე თემის სათაურის მითითებით. უცხოენოვანი ვარიანტი უნდა შეიცავდეს თემის დასახელებას, ავტორის გვარს და ინიციალებს. ჯგუფური პროექტის შესრულებისას ანოტაციაში უნდა გამოიკვეთოს და მიეთითოს თითოეული მონაწილის წვლილი.

სარჩევი (შინაარსი) – ასახავს სამაგისტრო ნაშრომის სრული ტექსტის ყველა თავისა და პარაგრაფის ზუსტ დასახელებას თანმიმდევრულად მათი გვერდების ნომრის მარჯვენა მხარეს მითითებით. გვერდების ნუმერაცია უნდა მოხდეს სარჩევის მომდევნო გვერდიდან თავფურცლის, ანოტაციის და შინაარსის გვერდების რაოდენობის გათვალისწინებით.

შესავალი – წარმოადგენს ნაშრომის ზოგად ნაწილს, რომელშიც უნდა აისახოს არჩეული თემის აქტუალურობის დასაბუთება, მიზანი, დასმული ამოცანების შინაარსი, საკვლევი საგნისა და ობიექტის ფორმულირება, კვლევისათვის გამოყენებული მეთოდი და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. შედარებითი ანალიზი - რითი განსხვავდება მოცემული სამაგისტრო ნაშრომი წინა კვლევებისაგან.

საკვლევი საკითხის სპეციფიკიდან გამომდინარე შესაძლებელია ავტორმა ცალკე თავად გამოყოს კვლევის მეთოდოლოგია/კვლევის დიზაინი, რომელშიც მეთოდოლოგიურ მიდგომებთან ერთად აისახება კვლევის მიზანი, დასმული ამოცანების შინაარსი, საკვლევი საგნისა და ობიექტის ფორმულირება, კვლევისათვის გამოყენებული მეთოდი კვლევის შეზღუდვები.

ტექსტის ძირითადი ნაწილი - ძირითადი ტექსტი იყოფა თავებად და ქვეთავებად და მათი რაოდენობა და სტრუქტურირების პრონციპი განისაზღვრება თემის საჭიროებიდან გამომდინარე.

დასკვნა – წარმოადგენს სამაგისტრო ნაშრომის კვლევის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების ნაწილს, რომელშიც მოკლედ აისახება კვლევის შედეგების თეორიული

მნიშვნელობა, პრაქტიკული ღირებულება და გამოყენების პერსპექტივები.

გამოყენებული ლიტერატურა – სამაგისტრო ნაშრომი უნდა გაფორმდეს ამერიკის ფსიქოლოგთა ასოციაციის APA ციტირების სტილით (იხილეთ ბმული: https://www.waikato.ac.nz/library/guidance/referencing/apa). საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულების პროგრამებისთვის დასაშვებია ტურაბიანის სტილი.

გაფორმება

- სამაგისტრო ნაშრომი აკრეფილი უნდა A4 ზომის სტანდარტულ ფურცელზე;
- ელექტრონულ ვერსია წარმოდგენილი უნდა იყოს Microsoft Word-ის ფორმატში (doc. გაფვართოებით);
- დოკუმენტის სახელწოდება უნდა იყოს MA Thesis და ავტორის გვარი (მაგ.: MA Thesis.Kapanadze);
- შესაძლო შრიფტის სახე – Sylfaen; შრიფტის ზომა – 12;
- შესავალი, თითოეული თავი და დასკვნა უნდა დაიწყოს ახალი გვერდიდან. თავის დასახელება იწერება 16-იანი ზომის შრიფტით;
- სტრიქონებს შორის მანძილი – 1,5 ინტერვალი;
- ფურცლის არესა და ტექსტს შორის მანძილი: მარცხნიდან - 3 სმ, მარჯვნიდან – 1 სმ, ზემოდან – 2,5 სმ, ქვემოდან – 2.5 სმ;
- ტექსტი დაფორმატებული უნდა იყოს "სტრიქონების სიგრძის გათანაბრების"(Justify) ფუნქციის მიხედვით;
- ნაშრომის მოცულობა – არანაკლებ 40 გვერდისა. გვერდების რაოდენობაში იგულისხმება ტექსტი შესავლიდან დასკვნის ჩათვლით გრაფიკების, ცხრილებისა და სხვა ვიზუალური მასალის გარეშე.

სამაგისტრო ნაშრომი, რომლის მოცულობა ნაკლებია დადგენილ ნორმაზე, არ განიხილება დასაცავად.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანს,
ასოც. პროფესორ თამარ დოლბაიას,
ამავე ფაკულტეტის ასოც. პროფესორის, ლია წულაძის

12685/30 2
09 07 021

განცხადება

გთხოვთ, დამრთოთ უფლება, 2021-2022 აკადემიურ წელს 10-თვიანი სამეცნიერო-შემოქმედებითი შვებულებით ვისარგებლო. აღნიშნულ პერიოდში ჩემს მიერ შექმნილი სამეცნიერო პროდუქტი მიმართული იქნება როგორც ფაკულტეტის კურიკულუმის განვითარებასა და დოქტორანტების კვლევითი პოტენციალის ხელშეწყობაზე, ისე თსუ-ის რეიტინგის გაზრდაში წვლილის შეტანაზე.

სოციოლოგიის მიმართულების კურიკულუმის განვითარების მიზნით, კულტურის სოციოლოგიის საბაკალავრო კურსისთვის შექმნი ინტერდისციპლინური ხასიათის ორიგინალურ სახელმძღვანელოს (200 გვერდის ფარგლებში). სახელმძღვანელოს სავარაუდო შინაარსი შემდეგი სახისაა: კულტურის ცნება და მისი კატეგორიზაციის მცდელობა სოციალურ მეცნიერებებში; კულტურის კვლევების განვითარების ანთროპოლოგიური ტრადიცია (1950-60-იანი წლები); კულტურის კვლევების განვითარების სოციოლოგიური ტრადიცია (1970-80-იანი წლები); კულტურულ ღირებულებათა კვლევის ახალი ტალღა (1980-90-იანი წლები) და თანამედროვე მდგომარეობა; კულტურა და სოციალიზაცია: სოციალიზაციის უნივერსალური მოდელები და კულტურულ-სპეციფიკური თავისებურებები; კულტურა და სოციალური ინსტიტუტები: ოჯახი და რელიგია ცვალებად საზოგადოებაში; კულტურა და რიტუალი: რიტუალიზმი, როგორც სოციოკულტურული სისტემის მახასიათებელი; კულტურა და პერფორმანსი: თვითპრეზენტაცია და მთაბეჭდილებების მართვა ყოველდღიურ ცხოვრებაში; კულტურა და სუბკულტურა: სუბკულტურის სოციალური ფუნქციები; კულტურათა კონტაქტი და ეთნიკურ უმცირესობათა იდენტობის სტრატეგიები; კულტურათაშორისი კონფლიქტი, კულტურული შოკი და აკულტურაცია; მულტიკულტურალიზმი: „გადამდნობი ქვაბიდან" კულტურულ პლურალიზმამდე; კულტურული გლობალიზაცია და მისი თავისებურებები თანამედროვე პირობებში (სახელმძღვანელოს შექმნის და რედაქტირების სავარაუდო ხანგრძლივობაა 4-5 თვე).

დოქტორანტების კვლევითი პოტენციალის ხელშეწყობის მიზნით, ჩემს ორ დოქტორანტთან ერთად, შევქმნი სამაგიდო კვლევის ანგარიშს, რომელიც

ფოკუსირდება ევროკავშირის და ევროინტეგრაციის შესახებ ქართული მედიის და მოსახლეობის დისკურსებზე (50-60 გვერდის ფარგლებში). ევროპეიზაციის შესახებ პოლიტიკური და პოპულარული დისკურსების ემპირიული შესწავლა ჩემი არაერთი კვლევის ფოკუსია, თუმცა, წინა კვლევებისგან განსხვავებით, აქცენტი გაკეთდება თავად მედიის ანგარიშების კონტენტანალიზსა და დისკურსის ანალიზზე (მაგალითად, მედიის განვითარების ფონდის ანგარიშები ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერიდან, 2014 წლიდან დღემდე) და, ასევე, სტატისტიკური მონაცემების ბაზების საფუძველზე, მოსახლეობის განწყობების ცვლილების დინამიკაზე. 2009 წლიდან (როცა CRRC-მ ევროკავშირის შესახებ ცოდნისა და განწყობების ეროვნული კვლევის პირველი ტალღა ჩაატარა) 2019 წლამდე (აღნიშნული კვლევის ბოლო ტალღა). ამ გზით, დოქტორანტებს შესაძლებლობა მიეცემათ, საქართველოს ევროპეიზაციის საკითხი როგორც თვისებრივი, ისე რაოდენობრივი კომპონენტის საფუძველზე გააანალიზონ და ჩემი ხელმძღვანელობით, აღნიშნული თემატიკის შესწავლის პრაქტიკული გამოცდილება შეიძინონ (კვლევის ანგარიშის შექმნის საკარაუდო ხანგრძლივობაა 2-2.5 თვე).

ზემოთქმულის გარდა, სამეცნიერო-შემოქმედებითი შვებულების პერიოდში, გამოვაქვეყნებ ერთ სამეცნიერო სტატიას საერთაშორისო, იმპაქტფაქტორის მქონე ჟურნალში, რაც თსუ-ის რეიტინგზე დადებითად აისახება. ვფიქრობ, სტატიის ფოკუსი იქნება ინოვაციური მეთოდის - Q მეთოდოლოგიის - გამოყენება ევროპეიზაციის კვლევაში, რაც ქართულ რეალობაში პირველ შემთხვევას წარმოადგენს და ჩემი უახლესი კვლევის მონაცემები სწორედ მას ეფუძნება (სტატიის შექმნის და იმპაქტფაქტორის ჟურნალის ფორმატზე მორგების საკარაუდო ხანგრძლივობაა 3-3.5 თვე).

აქვე ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ სამეცნიერო-შემოქმედებითი შვებულების პერიოდში, სოციოლოგიის მიმართულება უზრუნველყოფს ჩემი საკალდებულო საბაკალავრო და სამაგისტრო კურსების უწყვეტ მიმდინარეობას.

პატივისცემით,

ლია წულაძე

09. 07. 2021

593 213812

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანს,
ასოც. პროფესორ თამარ დოლბაიას,
ამავე ფაკულტეტის ასოც. პროფესორის, ლია წულაძის

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

გთხოვთ, დამრთოთ უფლება, 2021-2022 აკადემიურ წელს 10-თვიანი სამეცნიერო-შემოქმედებითი შვებულებით ვისარგებლო. აღნიშნულ პერიოდში ჩემს მიერ შექმნილი სამეცნიერო პროდუქტი მიმართული იქნება როგორც ფაკულტეტის კურიკულუმის განვითარებაზე, ისე თსუ-ის რეიტინგის გაზრდაში წვლილის შეტანაზე.

სოციოლოგიის მიმართულების კურიკულუმის განვითარების მიზნით, პირველ რიგში, რაოდენობრივი კვლევის მეთოდების სახელმძღვანელოს განვაახლებ, რომელიც 2008 წელს არის გამოცემული. განახლებული სახელმძღვანელო, რეალურად, ახალი სახელმძღვანელოა, რადგან ის მნიშვნელოვნად იქნება განსხვავებული წინა ვერსიისგან. გარდა მასობრივი გამოკითხვის მეთოდისა (რომელიც 2008 წლის ვერსიის ფოკუსია და რომელსაც არა მხოლოდ ახალი საკითხები დაემატება, როგორიცაა ინტერნეტგამოკითხვა, არამედ ავტორის კვლევის ნიმუშებიც), მასში ინტეგრირებული იქნება რაოდენობრივი კონტენტანალიზი და Q მეთოდოლოგია. ეს უკანასკნელი არასდროს გამოყენებულა სოციალური მკვლევრების მიერ საქართველოში, გარდა ჩემი ხელმძღვანელობით განხორციელებული, რუსთაველის ფონდის მიერ მხარდაჭერილი პროექტისა „ვიზალიბერალიზაციის შემდგომი დისკურსები საქართველოს ევროპეიზაციის შესახებ“ (2018-2020). შესაბამისად, სტუდენტებს და სოციალურ მკვლევრებს შესაძლებლობა ექნებათ, ამ საინტერესო მეთოდის არსსა და მისი გამოყენების სპეციფიკას გაეცნონ. „სოციოლოგიური კვლევის თვისებრივი მეთოდების“ (2020) სახელმძღვანელოს მსგავსად, წარმოდგენილი სახელმძღვანელოს სახელწოდება იქნება „სოციოლოგიური კვლევის რაოდენობრივი მეთოდები“ (სახელმძღვანელოს შექმნის და რედაქტირების სავარაუდო ხანგრძლივობაა 3-4 თვე).

გარდა ზემოხსენებული სახელმძღვანელოსი, კულტურის სოციოლოგიის საბაკალავრო კურსისთვის შევქმნი ინტერდისციპლინური ხასიათის ორიგინალურ სახელმძღვანელოს. სახელმძღვანელოს სავარაუდო შინაარსი შემდეგი სახისაა: კულტურის ცნება და მისი კატეგორიზაციის მცდელობა სოციალურ მეცნიერებებში; კულტურის კვლევების განვითარების

ანთროპოლოგიური ტრადიცია (1950-60-იანი წლები); კულტურის კვლევების განვითარების სოციოლოგიური ტრადიცია (1970-80-იანი წლები); კულტურულ ღირებულებათა კვლევის ახალი ტალღა (1980-90-იანი წლები) და თანამედროვე მდგომარეობა; კულტურა და სოციალიზაცია: სოციალიზაციის უნივერსალური მოდელები და კულტურულ-სპეციფიკური თავისებურებები; კულტურა და სოციალური ინსტიტუტები: ოჯახი და რელიგია ცვალებად საზოგადოებაში; კულტურა და რიტუალი: რიტუალიზმი, როგორც სოციოკულტურული სისტემის მახასიათებელი; კულტურა და პერფორმანსი: თვითპრეზენტაცია და შთაბეჭდილებების მართვა ყოველდღიურ ცხოვრებაში; კულტურა და სუბკულტურა: სუბკულტურის სოციალური ფუნქციები; კულტურათა კონტაქტი და ეთნიკურ უმცირესობათა იდენტობის სტრატეგიები; კულტურათაშორისი კონფლიქტი, კულტურული შოკი და აკულტურაცია; მულტიკულტურალიზმი: „გადამდნობი ქვაბიდან" კულტურულ პლურალიზმამდე; კულტურული გლობალიზაცია და მისი თავისებურებები თანამედროვე პირობებში (სახელმძღვანელოს შექმნის და რედაქტირების სავარაუდო ხანგრძლივობაა 4-5 თვე).

ამასთან, სამეცნიერო-შემოქმედებითი შვებულების პერიოდში, გამოვაქვეყნებ ერთ სამეცნიერო სტატიას საერთაშორისო, იმპაქტფაქტორის მქონე ჟურნალში, რაც თსუ-ის რეიტინგზე დადებითად აისახება. ვფიქრობ, სტატიის ფოკუსი იქნება ზემოხსენებული ინოვაციური მეთოდის - Q მეთოდოლოგიის - გამოყენება ევროპეიზაციის კვლევაში, რაც ქართულ რეალობაში პირველ შემთხვევას წარმოადგენს და ჩემი უახლესი კვლევის მონაცემები სწორედ მას ეფუძნება (სტატიის შექმნის და იმპაქტფაქტორის ჟურნალის ფორმატზე მორგების სავარაუდო ხანგრძლივობაა 3-3.5 თვე).

აქვე ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ სამეცნიერო-შემოქმედებითი შვებულების პერიოდში, სოციოლოგიის მიმართულება უზრუნველყოფს ჩემი სავალდებულო საბაკალავრო და სამაგისტრო კურსების უწყვეტ მიმდინარეობას.

პატივისცემით,

26. 07. 2021